

**GEORGIAN SPIRITUAL AND MATERIAL CULTURE MONUMENTS:
GEORGIAN-ABKHAZIAN-CAUCASIAN PRACTICE**

ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები:
ქართულ-აფხაზურ-კავკასიური პრაქტიკა¹

MERAB CHUKHUA

Doctor of Philology, Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
#1 Chavchavadze St., postal index: 0179, Tbilisi, Georgia
+995 595 089589; mchukhua@yahoo.com
<http://orcid.org/0000-0002-2953-0609>

NUGZAR ANTELAVA

Doctor in History, ethnologist, Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi
State University, Tbilisi, Chavchavadze St. #1, postal index: 0179, Georgia
+995 577 092961; antelavanugzar@gmail.com
<https://orcid.org/0009-0003-4321-1238>

MARIAM BEZHITASHVILI

MA in History, PhD student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Tbilisi, Chavchavadze St. #1, postal index: 0179, Georgia
+995 598 501972; mariami1988@gmail.com
<https://orcid.org/0009-0005-6544-2306>

Abstract. The purpose of the research carried out by us is to substantiate the historical foundations of the dominance and benevolent influence of Georgian culture on the Caucasian scale. The task of the project (OTG-I-21-273) was to conduct an objective, non-biased research and evaluation of the Georgian cultural heritage spread in the North Caucasus and also in the occupied territories of Georgia itself (the Autonomous Republic of Abkhazia and the Tskhinvali region/former South Ossetian Autonomous District) and the society living there, which was implemented with the support of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. This article/essay is a part of the research results produced within the project. The novelty of the research lies, first of all, in the fact that the assessment of Georgian spiritual and material culture (including completely newly discovered epigraphic sources) is offered together with us by a master class that receives the culture itself and sees it from the inside. The research strategy (methodology) presented in the project is also original and innovative, considering the synthesis of traditional and alternative methods of history representation. In the Caucasian scientific community, which remains outside of Georgia, today, the justification of kinship with the Georgian world, the commonality of genetic, cultural, political values is not popular, moreover, it is ignored and limited by the political conjuncture. What are the historical foundations of the existence of Georgian cultural patches in the Caucasian practice? To what extent has the cultural orbit in the Caucasus changed along with the change in the political and confessional framework? What is the number and condition of monuments marked by Georgian culture, writing and Christian religion in Ingushetia, Chechnya, Dagestan, Ossetia, Cherkessia and Abkhazia? - These were the main research questions, to answer which, for 1 year, we conducted the study/recording of Georgian historical monuments, cultural heritage samples, written and other sources, ethnographic data in the Caucasus region. The representatives of the nations themselves discuss, tell everything, which, on the one hand, is imprinted in the collective memory of their

¹სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის ფარგლებში (საგრანტო პროექტი „ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები: ქართულ-აფხაზურ-კავკასიური პრაქტიკა“ (OTG-I-21-273)).

nation in oral form and, on the other hand, is based on their own national source knowledge base.

Monuments depicting Georgian culture, writing and Christian religion, which are quite preserved in the North Caucasus, are particularly rich in Dagestan, Ingushetia and Chechnya. Monuments of material culture - temples, cult buildings, tombs are accompanied by inscriptions written in Georgian script (Asomatjuri, Nuskha-Khutsuri), in which in many cases the realization of the language material of the locals is reflected in Georgian graphemes. This kind of factology probably indicates the functioning of local scripts created on the basis of the Georgian script, more precisely, the attempt to create a script (language materialization). It is worth noting the fact that throughout the history of the Caucasians, only Georgia managed to peacefully integrate our region, unify it by non-forceful means, as well as maintain full-fledged statehood along with the country's independence. The benevolent influence of Georgian, both ethnically, culturally and religiously, is still alive today among the peoples of the North Caucasus. As the Ingush proverb informs us: Gurzhechoh moastagh khurgva - "Georgian will never be an enemy"... Also, the Dido curse in Dagestan - "May the rolled stone of Queen Tamar kill you" is very telling, where the positive face of the king Tamar is presented as a valuable historical figure and ruler for Dagestanis.

Key words: Georgian culture; Christian religion; Script; Caucasian scale; Historical monuments

მერაბ ჩუხუა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის ქ., №1, საფოსტო ინდექსი: 0179, საქართველო, +995 595 089589; mchukhua@yahoo.com
<http://orcid.org/0000-0002-2953-0609>

ნუგზარ ანთელავა

ისტორიის დოქტორი, ეთნოლოგი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის ქ., №1, საფოსტო ინდექსი: 0179, საქართველო, +995 577 092961; antelavanugzar@gmail.com
<https://orcid.org/0009-0003-4321-1238>

მარიამ ბეჟიტაშვილი

ისტორიის მაგისტრი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის ქ., №1, საფოსტო ინდექსი: 0179, საქართველო, +995 598 501972; mariami1988@gmail.com
<https://orcid.org/0009-0005-6544-2306>

აბსტრაქტი. ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევის მიზანი ქართული კულტურის კავკასიური მასშტაბით დომინირებისა და კეთილისმყოფელი გავლენის ისტორიული საფუძვლების დასაბუთებაა. ჩრდილოკავკასიაში და, ასევე, თვით საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე (აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში/ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) და იქ მოსახლე სოციალურ გარემოში ქართული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტური, არაცალმხრივი კვლევა-შეფასება გახლდათ ამოცანა პროექტისა (OTG-I-21-273), რომელიც შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა. წინამდებარე სტატია/ნარკვევი პროექტის ფარგლებში წარმოებული კვლევის შედეგების ერთ ნაწილს წარმოადგენს. კვლევის სიახლე, უპირველესად, იმაში მდგომარეობს, რომ ქართული სულიერი და ნივთიერი კულტურის (მათ შორის,

სრულიად ახლადგამოვლენილი ეპიგრაფიკული წყაროების) შეფასებას, ჩვენთან ერთად, გთავაზობთ თავად კულტურის მიმღები, შიგნიდან დამნახავი მასტერკლასი. ორიგინალური და ნოვატორულია პროექტში წარმოდგენილი კვლევის სტრატეგია (მეთოდოლოგია), რომელიც ითვალისწინებს ისტორიის რეპრეზენტაციის ტრადიციული და ალტერნატიული მეთოდების სინთეზს.

საკვანძო სიტყვები: ქართული კულტურა; ქრისტიანული რელიგია; დამწერლობა; კავკასიის რეგიონი; ისტორიული ძეგლები

შესავალი. საქართველოს მიღმა დარჩენილ კავკასიურ სამეცნიერო საზოგადოებაში დღეს ქართულ სამყაროსთან ნათესაობის, გენეტიკური, კულტურული, პოლიტიკური ფასეულობების საერთოობის დასაბუთება არცთუ პოპულარულია, მეტიც - იგნორირებული და პოლიტიკური კონიუნქტურით შეზღუდულიც. რა ისტორიული საფუძვლები აქვს ქართული კულტურული პლასტების არსებობას კავკასიურ პრაქტიკაში? რამდენად შეიცვალა კულტურული ორბიტა კავკასიაში პოლიტიკური და კონფესიური ჩარჩოს ცვლილებასთან ერთად? რა რაოდენობისაა და რა მდგომარეობაშია ახლა ქართული კულტურით, დამწერლობითა და ქრისტიანული რელიგიით ნიშანდებული ძეგლები ინგუშეთში, ჩეჩნეთში, დაღესტანში, ოსეთში, ჩერქეზეთსა და აფხაზეთში? - ეს გახლდათ ძირითადი საკვლევი კითხვები, რომლებზე საპასუხოდაც 1 წლის განმავლობაში ვაწარმოებდით კავკასიის რეგიონში არსებული ქართული ისტორიული ძეგლების, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების, წერილობითი და სხვა სახის წყაროების, ეთნოგრაფიული მონაცემების შესწავლა/აღრიცხვას, ზეპირი ისტორიის კვლევის მეთოდით ვაგროვებდით და ვიდუოფირზე ვწერდით ინტერვიუებს, სადაც რესპოდენტები - კავკასიელი ერების წარმომადგენლები თავად მსჯელობენ, ყვებიან ყველაფერს, რაც, ერთი მხრივ, მათი ერის კოლექტიურ მეხსიერებაში ზეპირი ფორმითაა აღბეჭდილი და, მეორე მხრივ, მათსავე ეროვნულ წყაროთმცოდნეობით ბაზას ეფუძნება.

მეთოდი. წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: ემპირიული ანალიზი, ისტორიულ-შედარებითი და აღწერითი მეთოდები, შედარებითი ანალიზი, სინთეზი.

შედეგები. როგორც კომპლექსური კვლევების შედეგად დაზუსტდა, ქართული კულტურის, დამწერლობისა და ქრისტიანული რელიგიის ამსახველი ძეგლები, რომლებიც საკმაოდ შემორჩენილი ჩრდილოკავკასიაში, განსაკუთრებული სიმდიდრით გამოირჩევა დაღესტანში, ინგუშეთსა და ჩეჩნეთში. მატერიალური კულტურის ძეგლებს - ტაძრებს, საკულტო ნაგებობებს, სამარხებს თან ახლავს ქართული დამწერლობით (ასომთავრული, ნუსხა-ხუცური) შესრულებული წარწერები, რომლებშიც ხშირ შემთხვევაში ადგილობრივთა ენობრივი მასალის ქართული გრაფემებით რეალიზებაა ასახული. ამგვარი ფაქტოლოგია, სავარაუდოდ, მიუთითებს ქართული დამწერლობის საფუძველზე შექმნილი ადგილობრივი დამწერლობების ფუნქციონირებაზე, უფრო ზუსტად, დამწერლობის შექმნის (ენის მატერიალიზაცია) მცდელობაზე.

დისკუსია. ქართველთა და ჩრდილოკავკასიელთა ისტორიის მანძილზე კავკასიის რეგიონის მშვიდობიანი ინტეგრაცია, არაძალისმიერი გზით გაერთიანება, ისევე, როგორც სრულფასოვანი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება ქვეყნის დამოუკიდებლობასთან ერთად, მხოლოდ საქართველომ მოახერხა. ქართული გავლენა კულტურული და რელიგიური თვალსაზრისით დღესაც ცოცხალია ჩრდილოკავკასიის ხალხებში. როგორც ინგუშური ანდაზა გვამცნობს: გურჟეჩოჰ მოასთაღ ხურგვაც - „ქართველი არასოდეს იქნება მტერი“... ასევე მრავლისმთქმელად გვევლინება დიდოური წყევლა დაღესტანში - „თამარ დედოფლის დაგორებულმა ქვამ დაგიტანოს“, სადაც თამარის, როგორც დაღესტნელთათვის ღირებული ისტორიული მოღვაწისა და მმართველის, პოზიტიური სახეა წარმოჩენილი. ქვემოთ წარმოვადგენთ ქართულ-კავკასიური ურთიერთობების ისტორიისა და ქართული სულიერი და ნივთიერი კულტურის ჩრდილოკავკასიაში

ფუნქციონირების ძირითად მომენტებს რეგიონებისა და ხალხების მიხედვით.

ქართულ-ჩერქეზული პარალელები

ქართულ-ჩერქეზული კულტურული, ეკონომიკური, სამხედრო-პოლიტიკური კავშირები სათავეს უძველეს პერიოდში იღებს. კავკასიის ამ ორი ავტოქთონი ხალხის ურთიერთობები ჯერ კიდევ უძველეს წარსულში იწყება, რაზედაც ექვმიუტანლად მეტყველებს გვიანი ენეოლითის ხანის (ძვ. წ. V მეორე ნახევარი – ძვ. წ. IV ათასწლეულის დასაწყისი) მეშოყოსა (დასავლეთ კავკასია - ჩერქეზთა ისტორიული სამშობლო) და დარკვეთის (დასავლეთ საქართველო) მონათესავე არქეოლოგიური კულტურები (კაგაზეჟევი, 2019: 184). ეს ურთიერთობა გრძელდება ბრინჯაოს ეპოქაში, როცა მაიკოპისა (ადიღეს რესპუბლიკა) და მტკვარ-არაქსის (ცენტრით საქართველოში) ბრწყინვალე კულტურები ყალიბდება (რისინი, 2012: 204-231; მისივე, 2012: 107-112). ქართულ-ჩერქეზული კავშირები არც რკინის ხანაში შეწყვეტილა და არც მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში. სწორედ ასეთმა მჭიდრო და ინტენსიურმა კავშირ-ურთიერთობებმა განაპირობა ჩერქეზთა და ქართველთა სამხედრო თანამშრომლობა, რომელსაც ჯერ კიდევ I საუკუნის 70-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი და XVIII საუკუნემდე გაგრძელდა. ძალზე მნიშვნელოვანი იყო ამ ტიპის ურთიერთობები ქართველი მეფეების, თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის დროს, როცა ჩერქეზები ქართლისა და კახეთის ხელმწიფეებს მტრებთან ბრძოლაში ხშირად ეხმარებოდნენ. ასევე უნდა აღინიშნოს გვიან შუა საუკუნეებში კახეთსა და ქართლში ჩერქეზი თავად-აზნაურების დასახლებისა და ჩერქეზიშვილების გვარის გაჩენის თაობაზე (როგორც ჩანს, მათვე უკავშირდება მეგრული გვარები - ჩერქეზია და ჩარგაზია). გვიან შუა საუკუნეებში გახშირდა დინასტიური ქორწინებები ყაზარდოელი თავადებისა და საქართველოს სამეფო ოჯახების წარმომადგენლებს შორის (ჯავახიშვილი, 2014: 46-64). ქართულ-ჩერქეზული შერეული ოჯახების შექმნა დღესაც გრძელდება. შემთხვევითი არც ისაა, რომ ქართული ჰერალდიკის ერთ-ერთ უბრწყინვალეს ძეგლს - ქართლ-კახეთის სამეფოს გერბს - ყაზარდოელი (ჩერქეზული) სომბოლიკაც ამშვენებს (იქვე: 92-97). მრავლისმეტყველია ისიც, რომ პირველი ჩერქეზული ანბანი, შედგენილი არაბული გრაფიკის საფუძველზე ცნობილი ჩერქეზი განმანათლებლის უმარ ბირსეის მიერ, 1853 წლის 14 მარტს თბილისში გამოიცა, რამაც დასაბამი მისცა ჩერქეზული ენისა და კულტურის დღედ 14 მარტის ოფიციალურ თარიღად გამოცხადებას.

შეუძლებელია, ასეთ ურთიერთობებს თავისი კვალი არ დაემჩნია ქართველი და ჩერქეზი ხალხების მატერიალური და სულიერი კულტურის ისეთ ფრიად მნიშვნელოვან შემადგენლებზე, როგორცაა პირველადი წარმოების, სიცოცხლის უზრუნველყოფის, ხალხური გამოყენებითი ხელოვნებისა და რელიგიურ-მითოლოგიური სტრუქტურები. ამ მხრივ აღსანიშნავია ჩერქეზ და დასავლეთ საქართველოს მკვიდრი ეთნოგრაფიული ჯგუფების მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სიმბიოზის, შრომის იარაღების, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, სამოსის, კვების სისტემის გარკვეული ერთგვაროვნება. განსაკუთრებით თვალსაჩინოა კულტურული პარალელები ჩერქეზულ-დასავლურქართულ დასახლების ფორმებისა და ტიპების, საკარმიდამო სტრუქტურებისა და საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობების დაგეგმარების თვალსაზრისით (მილერი, 1914: 79-81; ანთელავა, 2016: 254-269).

მატერიალური კულტურის დარგში აღსანიშნავია ფაქტიურად იდენტური ჩერქეზული და ქართული ჩოხა, როგორც სამოსის უიშვიათესი და ულამაზესი ნიმუში თავისი ატრიბუციით, მოგვიანებით გავრცელებული მთელ კავკასიაში XIX ს. მეორე ნახევრის მიწურულსა და XX ს. დასაწყისში საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ე. წ. „ჩერქესკა“ - ლოკალური თავისებურებით გამორჩეული ჩერქეზი მამაკაცის კოსტუმი (სტუდენეცკაია, 1968: 132-141; მისივე, 1989: 160-185). ანალოგიური იყო ჩერქეზულ-დასავლურქართული (უპირატესად მეგრული) სიცოცხლის უზრუნველყოფის კულტურის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი - კვების სისტემა და ისეთი ძირითადი საყოველღეო საკვები, როგორც ღომი, მჭადი და მაწონია (პაფოვა, 1992: 98- 114; ანთელავა, 2016: 283-285).

განსაკუთრებით უნდა ითქვას ქართულ-ჩერქეზული სულიერი კულტურის მითოლოგიურ-რელიგიურ შემადგენლებზე - ამირანიანის ტიპის თქმულებებზე, რომელთა გენეტიკური ნათესაობა უეჭველია, აგრეთვე, კალენდარულ დღესასწაულებზე, რომელთა შორის გამოირჩევა ახალი წლის მიგებების რიტუალები და ამ რიტუალების აუცილებელი იდენტური ატრიბუტები - ქართული ჩიჩილაკი და ჩერქეზული „ღამშუთი“ (იგივე „სოზარეში“). ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთში ქრისტიანობის შეღწევის ერთ-ერთ ძირითად არხს წარმოადგენდა აფხაზეთის ქართული სამეფო. სწორედ ქართული გავლენის შედეგად გაჩნდა ჩერქეზულ ენაში ქრისტიანული საბაზისო ტერმინები - ჯორ/ჟორ (ქართ. ჯვარი), შაუჯენ/შაუჯან („შავი განი“ - მღვდელი) და სხვ., აგრეთვე, ქრისტიან წმინდანთა რიგი სახელები, ისევე როგორც კვირეულის დღეების აღმნიშვნელი სახელწოდებები, კერძოდ, ოთხშაბათის, პარასკევის, შაბათისა და კვირა დღისა (ანთელავა, 2016: 440).

ქართულ-აფხაზური ეთნოკულტურული და ეთნონომრივი კონტაქტები

აფხაზურ-ქართული ურთიერთობები სათავეს შორეულ წარსულში იღებს. სწორედ ამიტომ კავკასიის რეგიონის ამ ორი ძირძველი ხალხის მატერიალურ, სოციალურ-ნორმატიულ და სულიერ კულტურაში, ოჯახისა და ქორწინების ფორმებსა და მმართველობის სისტემაში, ხალხური რწმენა-წარმოდგენებსა და წეს-ჩვეულებებში გენეტიკური ნათესაობა ვლინდება. ეს სავსებით არ არის გასაკვირი, რადგან აფხაზები და ქართველები უხსოვარი დროიდან (ყოველ შემთხვევაში სულ მცირე ორი ათასი წელია) გვერდიგვერდ სახლობენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ერთიან სოციოკულტურულ სივრცეში ხანგრძლივი თანაცხოვრების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქართულ-აფხაზურ სოციოკულტურულ ერთობას საფუძვლად ედო (და ნაწილობრივ დღესაც უდევს) ეთნიკურ ფასეულობათა ორმხრივი ინფილტრაციის შედეგად წარმოქმნილი კულტურის ერთგვაროვანი პარადიგმები, იდენტური ღირებულებები (ანთელავა, 2012: 5). ზემოაღნიშნული განსაკუთრებული თვალსაჩინოებით იკითხება ამ ორი ხალხის მატერიალურ და სულიერ კულტურაში.

წარსულში ქართულ-აფხაზური მატერიალური კულტურის, უპირატესად საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, სამიწათმოქმედო და შრომის სხვა იარაღების, სატრანსპორტო საშუალებების ერგვაროვნება, გარდა საერთო გეოგრაფიული გარემო პირობებისა, განპირობებული იყო კულტურის ელემენტთა ორმხრივი გაცვლით. ცნობილია, რომ აფხაზური წნულკედლებიანი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, დამახასიათებელი დასავლეთ საქართველოსთვისაც, გავრცელებული იყო XIX საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით, მეორე ნახევრიდან კი ამ კუთხეში ჩნდება ჯერ ძეღური (აფხაზური „ა-ჯარგული“, შემდეგ კი ფიცრული სახლები, რომელთა ოდური ნაგებობის ტიპი, ე. წ. „აკუასკა“ (უკავშირდება სოფლის სახელწოდებას, სადაც ოდა-სახლი პირველად აშენდა), როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოში მცხოვრებმა ხელოსნებმა (მეგრელებმა, იმერლებმა, რაჭველებმა, გურულებმა) ააგეს, რაზედაც თვით აფხაზი მეცნიერები მიუთითებენ (მალია, აკაბა, 1982:167-168). ასეთი დასკვნის შესაძლებლობას იძლევა ის ფაქტიც, რომ აფხაზთა სხვა მეზობელი ხალხები (იგულისხმება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მკვიდრნი) აღნიშნული ტიპის საცხოვრებლებს არასოდეს აგებდნენ და არც მოგვიანებით აუგიათ. აფხაზეთში გავრცელებული კიდევ ერთი საცხოვრებლის, ე. წ. „აგანვის“ (განიერი სახლი) იდენტურია მეგრული „განიშ ყუდე“ (განიერი სახლი). ცალკე უნდა ითქვას აფხაზეთში დამოწმებულ ახალდაქორწინებულთა წნულ საცხოვრებელზე - „ამჰარაზე“, რომელიც ამავე სახელწოდებით სამეგრელოს ნაწილშიც იყო გავრცელებული (სხვა ნაწილში მას „თორ-ფაცხა“ ერქვა).

იდენტური იყო აფხაზური და ქართული (მეგრული) კვების სისტემა. საკვები პროდუქტებიდან ორივეგან არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა საყოველღეო კერძებს - ღომს, მჭადს (აფხაზ. აბესთა და ამგიალი), მაწონს, ხაჭოსა (აფხაზ. ახერწ, ახაჭა) და რძის სხვა პროდუქტებს (ბახია-ოქრუაშვილი, 2011: 68-72).

აფხაზოლოგიურ ლიტერატურაში დღემდე აუხსნელი რჩება ისეთი ფრიად საინტერესო ფაქტი, როგორც არის ხალხური შემოქმედების ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული მიმართულების მქონე მითოპოეტური ნიმუშების არსებობა. ეს არის ბზიფის აფხაზეთში გავრცელებული ნართული ეპოსი და მხოლოდ აბჟუის მხარეში ცნობილი თქმულება აბრსკილზე - ამირანიანის წრის საგმირო თქმულება. როგორც ჩანს, თქმულება აბრსკილის შესახებ თავისი სიუჟეტით, შინაარსითა და სახელწოდებით (აფხაზურად ადაპტიაციით) ნასესხებია ამირანიანის ტიპის მეგრული თქმულებიდან ბერსკუაზე (ანთელავა, 2017: 175). აქვე უნდა ითქვას, რომ კოლხური ლექსიკა ჭარბად არის წარმოდგენილი აფხაზური ენის აბჟუურ (რიგ შემთხვევაში ბზიფურ) დიალექტში, რისი მოწმობაცაა აფხაზური ქრისტიანული ტერმინები: ეკლესიის, სალოცავის აღსანიშნავად გამოყენებული ტერმინი ა-უახვამა მეგრული ოხვამე სიტყვისგან მომდინარეობს (გვანცელაძე: 1998, 44). აფხაზურში გვიანდამკვიდრებული ჩანს ტერმინი - ა-მქამგარია/ა-სემგარია, მიღებული მეგრული მიქამგარიო „მიქელგაბრიელი“ სიტყვისგან, ასევე, მეგრულ კელანტარ (ქართ. კელაპტარი) სიტყვას უკავშირდება აფხაზური ა-კვალანტარი - დიდი ზომის ცვილის სანთელი (იქვე: 45-46). აფხაზურში მეგრულიდან არის შესული ისეთი ტერმინებიც, როგორცაა აქედრსა (შდრ. მეგრ. ქირსე - ქრისტეშობის დღე, აქედრსიან „ქრისტიანი“ (შდრ. მეგრ. ქირსიანი), თარგალაზ „მთავარანგელოზი“ (შდრ. მეგრ. თარგელოზი), წყარკუთხია „წყალკურთხევა“ (შდრ. მეგრ. წაკურთხია/წყარკუთხია), ა-ჭყვანდარ „ეპისკოპოსი“ (შდრ. მეგრ. ჭყონდ(იდ)არი „ჭყონდიდელი“) (გვანცელაძე, 1998: 46).

აფხაზურ ხალხურ რწმენა-წარმოდგენებთან, წეს-ჩვეულებებთან და რიტუალებთან დაკავშირებულ ტერმინებში არანაკლებ მცირეა ქართველური ენებიდან ნასესხები სიტყვები: მაგალითად, აფხაზური აითარი (შდრ. მეგრ. ანთარი) - ფართო აგრარული ფუნქციის მქონე ღვთაება, გოთანუა (შდრ. მეგრ. გოთანუა „გათენება“) - მუცლის ტკივილის მფარველი სული, ადგილ დედოფალი (კონკრეტული ადგილისა და ზოგადად მიწის მფარველი სული), კალინდა (შდრ. ქართ. კალანდა)- საახალწლო ლოცვა, ალაკუმხა (შდრ. მეგრ., გურ. ლეკუმხა/ლეკუხა/ ლუკუხო - ხეჭრელი) - გათვალვის საწინააღმდეგო მოწყობილობა და სხვ.

ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები ინგუშეთში

ინგუშები, ისტორიულ წყაროებში დურძუკ-ღლიღვ-ქისტების სახელით ცნობილნი, აღმოსავლურქართული სახელმწიფოებრიობის გარიჟრაჟზე უკვე მჭიდრო ურთიერთობაში არიან ქართულ სივრცესთან. კულტურასთან ზიარებაც ამ დროიდან უნდა დაწყებულიყო. დურძუკები, როგორც გარეშე მტრების, ასევე ქართული საზოგადოების შიგნით გაშლილი კლასობრივი ბრძოლების ხშირი მონაწილენი იყვნენ. სტრატეგიული პოლიტიკური ინტერესების გარდა, ეკონომიკური ფაქტორიც მნიშვნელოვნად აპირობებდა კავკასიის ბარისა და მთის ურთიერთობას და საბოლოო ჯამში ამ ორი სივრცის ეკონომიკურ და ეთნოკულტურულ ორგანიზმად ჩამოყალიბებას. ქრისტიანული რელიგიის გავრცელება დურძუკ-ღლიღვებში მე-7-8 საუკუნეებში იწყება ქართველი მეფე-მთავრების მიერ. ქართველ მისიონერებს შეჰქონდათ სასულიერო წიგნები, აშენებდნენ ეკლესიებს, ავრცელებდნენ ქრისტიანულ კულტურას. ქრისტიანობის კვალი კარგად იკითხება ეთნოგრაფიაში - წეს-ჩვეულებებსა და რელიგიურ დღესასწაულებში. დღეს ქართული ეტიმოლოგია ათეულობით ძეგლს ემჩნევა. ქართველებისა და ინგუშების კულტურულ-სარწმუნოებრივი ერთიანობის მოწმე სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები ინგუშეთის დასავლეთ ნაწილში, მდინარეების - სუნჯისა და თერგს შორის კლდოვანი ქედის გასწვრივ, სავაჭრო ქარავნების მიგრაციისთვის განკუთვნილ გზებზე მდებარეობს (ბეჟიტაშვილი, 2010: 416-417).

ალბი-ერდის ტაძარი ცენტრალურ, ბუდე ინგუშეთში, ხამხის საზოგადოებაში აუშენებიათ. ძეგლის სახელს მის მშენებელს უკავშირებენ. მიმდებარე სოფლებიდან ის განცალკევებით დგას, ფერდობის შუა წელზე, ნახევარი კილომეტრის დაშორებით უახლოესი ნასოფლარიდან. ტაძარი დღეს დაზიანებული კედლების სახითაა მოღწეული.

მისი ცენტრალური ნაწილი გეგმაში წარმოადგენს წაგრძელებულ, დარბაზული ტიპის ნაგებობას. ეკლესიის ქვეშ დაახლოებით ორი მეტრის სიმაღლის საძვალეა. აღსანიშნავია, რომ ცენტრალური დარბაზის სამხრეთ კედელზე ორი პილიასტერის ნაშთია, რომელთა თაღში გამოსაყვანადაც ქართული გამომწვარი აგურია გამოყენებული. ალბი-ერდი გეგმით, ზომითა და გამოვლენილი სამშენებლო ტექნიკის დონით ინგუშეთში არსებული ქართულ-ქრისტიანული არქიტექტურის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ძეგლია. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი ერთადერთი ტაძარია ინგუშეთში, რომელშიც შემორჩენილია მხავრობა-შელესილობის მკრთალი კვალი. გასული საუკუნის მე-2 ნახევარში მასში კიდევ განიჩეოდა რამდენიმე შარავანდის მოხაზულობა, ფიგურათა დეტალები, შუა სს-ის კედლის მხატვრობის ლურჯ-მოყავისფრო შეფერილობა, რაც გამოცდილი მხატვრის ხელწერაზე მიანიშნებდა (ქალდანი, ხუციშვილი, ხუციშვილი, 1983: 108–112).

დელიტეს საკულტო ნაგებობა ჩეი-ლამის ქედის ძირში, მდინარე ასას და დარიალის მაკავშირებელი ისტორიული გზის მახლობლად, სოფელ ჯართში მდებარეობს, ეტიმოლოგიზირდება უზენაესი ღვთაების - დელას - დალას სახელიდან და ნიშნავს ღვთაების ტაძარს. იგი კავკასიის ეტალონური ტაძრებისგან განსხვავებული, კლასიკური ქრისტიანული ხუროთმოძღვრებისთვის შეუსაბამო, ნაკლებსიმეტრიული ნაგებობაა ფიქლის სამსაფეხურიანი ორფერდა სახურავით, თაღოვანი შესასვლელით სამხრეთიდან, შიდა სივრცეშიც ორი შეკიდული თაღია და სამსვეტიანი საკურთხეველი - ნიში, რომლის სიღრმეში, ისევე, როგორც გარე ფასადების წყობაში, გამოყვანილია დიდი ზომის გოლგოთიანი ჯვრები. რკინის ჯვრები ნაგებობის სახურავზეც ყოფილა აღმართული მე-19 საუკუნეშიც კი. ზოგი ამ ტაძარს პირველყოფილი წარმართული კერპთმსახურების კერად მიიჩნევს, ზოგი მე-13-14 საუკუნეების წმინდა ინგუშურ წარმართულ ნაგებობად, ზოგი კი - გვიანი შუა სს-ის ქრისტიანულ სამლოცველოდ და ქართულ ანალოგსაც უძებნიან ჭოროხის ხეობაში მდებარე დოლისყანის ძველი ტაძრის სახით (ვინოგრადოვი, 1982: 50-54). ვეთანხმებით თვალსაზრისს, რომ ეს ძეგლი გამარტივებული საკულტო ნაგებობა იყო ქრისტიანული ტაძრის ფუნქციით. ნომების რღვევა არაკვალიფიციურმა ხელოსნებმა ან წინამორბედ წარმართულ სამლოცველოსთან გარძრახ მიმსგავსებამ გამოიწვია. თავად ინგუშები მას სინკრეტული რწმენის საფუძველზე შექმნილ საკულტო ნაგებობად მიიჩნევენ.

ტყობა-ერდი თარგიმის ქვაბულის ცენტრალურ ნაწილში, სოფელ ხაირახის მახლობლად მდებარეობს. იგი წარმოადგენს სამეკლესიან ბაზილიკას და, ქართული ძეგლების მსგავსად, ორიენტირებულია ჩრდილო-აღმოსავლეთით. ტაძარი მე-9 საუკუნემდე არსებული ნაგებობის საფუძველზეა აგებული, მაგრამ, როგორც ჩანს, განვლო გადაკეთებათა რამდენიმე ეტაპი, რადგან შეიცავს მშენებლობის სხვადასხვა პერიოდის ნიშნებს, მთავარი ეკლესიის ინტერიერში და სამხრეთის ფასადზე ინგუშეთის ეროვნული ხუროთმოძღვრების ელემენტებიცაა, გამორჩეული ორიგინალური დეკორითა და ჩუქურთმებით. როგორც საფასადე მხარეს, ისე ინტერიერში, შირიმნის ქვის ბლოკებზე ამოკვეთილია ადამიანისა და ცხოველების რელიეფური სკულპტურები, ყველაზე მნიშვნელოვანი კი, რაც ამ ტაძარს უკავშირდება, არის ძველქართულდამწერლობიანი სამშენებლო კერამიკა, ბრტყელი და ღარისებრი კრამიტები. ამ წარწერებში მოხსენიებული არსენ მ-ს არსენ მამამთავრად ახსნის საფუძველზე და იმის გათვალისწინებით, რომ წარწერათა პალეოგრაფიული და ტაძრის არქეოლოგიურ-ხელოვნებთმცოდნეობითი მონაცემები მე-10 ს-ის მეორე ნახევრის, მე-10-11 სს-ის მიჯნისკენ მიუთითებს, მკვლევარი, არქეოლოგ-კავკასიოლოგი გივი ღამბაშიძე ასკვნის, რომ მისი აღმშენებლობა ქართლის კათალიკოს არსენ II-ს უკავშირდება (ღამბაშიძე, 1998: 89-108). ტაძრის აღმშენების ვითარებაც გამხელილია დასავლეთ ფასადის რელიეფზე: ქრისტესგან მარცხნივ ექსპრესიულად გამოსახულ ფიგურას ცალ ხელში ჯვარი უჭირავს, მეორეში კი მახვილი. ეს მართლაც საპროგრამო გამოსახულება საუკეთესოდ გადმოგვცემს ქართველ პოლიტიკურ მესვეურთა კრედოს: ძალდატანება რწმენის დანერგვის ფეხდაფეხ მიაბიჯებს.

გალ-ერდი სოფელ ეგენტის მეზობლად, წყალგამყოფ ქედზე მდებარეობს. ძეგლი

იმდენად დაზიანებულია, პირვანდელ ფორმაზე დაბეჯითებით საუბარი შეუძლებელია. მას მხოლოდ მილერის ჩანაწერებით აღადგენენ სქემატურად. ნაგებობის ზედა ნაწილი ჩამოქცეულია. გალავნის კედლიდანაც მხოლოდ სამირკვლის ფრაგმენტებია დარჩენილი. ამ ძეგლის შესახებ პირველი ცნობა ინგუშებსა და რუსებს შორის 1810 წელს დადებულ ხელშეკრულებაში გვხვდება, რასაც სწორედ გალ-ერდიზე ფიცით განამტკიცებდნენ ინგუშები. 1846 წლის წყაროც - შეგერენის ჩანაწერები ადასტურებს, რომ ინგუშები დიდ პატივს სცემდნენ ამ ტაძარს. ახალ წელს გალ-ერდიში ხდებოდა ქადაგად დავარდნა, ანთებდნენ სანთლებს და სწირავდნენ მსხვერპლს. კედლების პარალელიზმის დარღვევა თუ მარტივად გადაწყვეტილი სახურავი - ერთქანობიანი, საკურთხევის აფსიდა, რომელიც ფასადის მხრიდან გამოყოფილი არ არის, ეს ყველაფერი თვალსაჩინოს ხდის, რომ ადგილობრივ ხალხურ სამშენებლო ხელოვნებას შეერწყა ქართული არქიტექტურა, რომ უფრო გასაგები და მისაღები ყოფილიყო მთიელთათვის (ხუციშვილი, 1983: 63-66).

მდ. ასას მარჯვენა ნაპირზე, თარგიმიდან ოთხიოდე კილომეტრში ორი ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევია, ისინი **თარგიმის ეკლესიების** სახელწოდებითაა ცნობილი. არქიტექტურულ ფორმათა საერთო გადაწყვეტითა და ცალკეული დეტალებით ორივე ძეგლი განვითარებული შუა სს-ის საქართველოს ქრისტიანულ საკულტო არქიტექტურაში პოულობს ანალოგიებს. თარგიმის პირველი ეკლესია მცირე ზომის ერთნავიან ნაგებობას წარმოადგენს, რომლის შესასვლელიც სამხრეთ კედელშია გაჭრილი. სავარაუდოა, რომ ამავე მხარეს ტაძარს მინაშენიც ჰქონდა. ნაგებია ფიქლით, მცირედ დამუშავებული რიყის ქვითა და კირის ხსნარით. კედლები ორივე მხრით შელესილია. შესაძლებელია მოხატულიც ყოფილიყო. გასწვრივ კედლებზე პილიასტრების ნარჩენია. საკურთხევის აფსიდში ტრაპეზის ნაშთები შეინიშნება, რომლის ქვეშაც საძვალეა მოწყობილი. საკურთხევის გარდა, სარკმელი დასავლეთის კედელშიცაა. ძეგლის ისტორიოგრაფია 1933 წლიდან აითვლება, როდესაც ინგუშეთის მხარეთმცოდნეობითი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ აქ პირველი ექსპედიცია განხორციელდა. 1951 წელს სემიონოვი მას, როგორც ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლს, მე-12-13 საუკუნეებით ათარილებს. 70-ანი წლების ბოლოს ეკლესიის შიგნით და მის შემოგარენში განხორციელებული არქეოლოგიური სამუშაოების ხელმძღვანელი მუჟუხოვეი კი, ტაძრის განათხარი მასალის - ლიტურგიკული პრაქტიკისათვის საჭირო მრავალრიცხოვანი ინვენტარის მონაცემების მიხედვით ეკლესიის თარიღს ზედმიწევნით განსაზღვრავს მე-13 საუკუნით (მუჟუხოვეი, 1980: 177-184). სავარაუდოა, რომ გვიან შუა სს-ის მიწურულს, ქრისტიანობის შესუსტების შემდეგ, ტაძარი ნახევრადქრისტიანულ-წარმართულ სამლოცველოდ გარდაქმნილა, რასაც ადასტურებს არქეოლოგიური კვლევის ნიმუშები - წარმართულ ღვთაებათათვის შეწირულ ცხოველთა ძვლოვანი მასალა. ყველაზე საინტერესო კი მაინც ხუცური ასოებით აღბეჭდილი არტეფაქტია თარგიმის ეკლესიის კედელზე. წარწერა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ინგუშეთის შუა სს-ის ლიტურგიკაში რეალურად გამოიყენებოდა ქართული საეკლესიო ენა თავისი დამწერლობით - ხუცური ასოებით და აღმსრულებლებით - სამღვდელოებით. თარგიმის მეორე ეკლესიის მიკვლევა მაგომედ განდაურ-ეგის სახელს უკავშირდება. ტაძარი ყურადღებას იქცევს ჩრდილოეთის კედელზე წარმოდგენილი ანთროპომორფული ნიშებით. ორმოცდაათიოდე მეტრში ეკლესიიდან მდებარეობს ნახევრადმიწისქვეშა ორკამერიანი აკლდამა. პირველი ისრული, მეორე კი - ქვის თაღოვანი კამარის სახით წარმოდგენილი.

ჩვენ მიერ აღწერილი ქრისტიანული ეკლესიები, რომლებიც თარგიმის, ხამხისა და ეგიკალის მოსახლეობის სალოცავებს წარმოადგენდნენ, ერთი ეპოქის და საერთო კულტურული კერის ძეგლებია, ქართული სახელმწიფოს გავლენით შექმნილი კულტურული კერისა. ინგუშეთის ტაძრებსა და სავარაუდო საძვალეებში მიკვლეული უმნიშვნელოვანესი ძველქართული ეპიგრაფიკული მასალა, ქართული ხუროთმოძღვრების ნიშნები, შერწყმული ინგუშურ არქიტექტურულ ტრადიციებთან, ასევე ინგუშურ ლექსიკაში დაფიქსირებული ქართული ენის ელემენტები, ხელნაწერი ქართული ფსალმუნების მიკვლევა ტყობა-ერდსა და მაგი-ერდში, ქართველ მთიელებთან საზიარო

ეთნორელიგიური დღესასწაული ათინაგი - ეს ყველაფერი კარგად გამოხატავს ქართული ეკლესიის იურისდიქციის ჩრდილო საზღვარს და ნათელყოფს იმ ისტორიული პროცესის სინამდვილეს, რომ ინგუშთა წინაპრები - დურძუკნი და ლილვნი ქართული სახელმწიფოებრივი, კულტურული, კონფესიური და ენობრივი სივრცის განუყოფელი ნაწილი იყვნენ. ისიც დადასტურებული ფაქტია, რომ ინგუშებმა ყველაზე გვიანობამდე შეინარჩუნეს ქართულ-ქრისტიანული ეკლესიისადმი თავისი კუთვნილების შეგრძნება (ბეჟიტაშვილი, 2012: 53-58). ამის დასტურად მოვიტანთ ამონარიდს ხევსურეთის ასას ხეობის (არხოტი) უხუცესი მკვიდრის - სანდუა წიკლაურის (დაბად. 1941 წ. ს. ამა) ნაამბობიდან, რომელიც აღნიშნული პროექტის ფარგლებში ჩავიწერეთ. ჩვენი რესპოდენტი რკენას სალოცავის აშენების ისტორიას და ლეგენდარული სკამის - ქისტების (ინგუშების) ადგილის შესახებ მოგვითხრობს: „ჩვენ ხალხ ხო აესეთ მშრალ კედლებს აშენებდნენ, ეგ დარბაზ და ხატ არს ქისტების აშენებული. როცა ეს აშენდ, დაუდეს სკამ, ქისტს, საკუთარ სკამი აქ იქ. ხატობაში რო მოვიდას ვიღაც ქისტი დღესაც, თავისუფლა შეუძლია რომ მივიდეს და დეესწროს იმ ხატობას... აქ ქისტებს როცა გზა ჰქონდ ცხენისა და მემრე მაშინისა, ყოველთვინ მადიოდეს. ძალიან ხშირ სტუმრობა ჰქონდ ერთიმეორესთან ჩვენა და მაგათ. ვმოდრობდით ერთიმეორეში, ვყიდულობდით, გავდიოდით ჩიშს, ჯარიებს. მასპინძლობაც კარგი გვქონდ, აქ მადიოდეს... მაშინ ხო ქრისტიანებ იყვნეს, აი, ლუდს რო ჩვენ ვხარშავთ, ეგრე ხარშევდეს ეგენიც ლუდსა ადრე, როგორც გადმაცემით ვიცი მეც კაცისგანაც (მეუღლეს გულისხმობს), ჩვეულებრივ სანთლებსაც ანთებდესა და ლოცულობდეს რა, ქრისტიანები როგორც“.

ისტორიული კატაკლიზმებით გამოწვეული კონფესიური სხვაობა ინგუშებისა და ქართველების ურთიერთობაში დამაბრკოლებლად ვერ იქცა. მოსწყდნენ ქრისტიანულ ორბიტას, მაგრამ კვლავ სისხლს ღვრიდნენ საქართველოსთვის. შემდეგ იყო რუსული ანექსია, რამაც მთელი კავკასია დეინტეგრაციის გზით წაიყვანა და კულტურულ იდენტობრივი ერთობის განცდაც შეასუსტა. მიუხედავად ინტენსიური ანტიქართული პროპაგანდისა, ტრადიციადქცეული პროქართული განწყობები ინგუშთა შორის დღესაც ძლიერია.

ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები დაღესტანში

ქართულ-დაღესტანურ ურთიერთობებში IX-XV საუკუნეებში ვითარდება ახალი ეტაპი, რომელიც დაკავშირებულია სავაჭრო, ეკონომიკური და კულტურული კავშირების მნიშვნელოვან ზრდასთან. ამ კონტაქტების განვითარებას ხელს უწყობდა ამ ქვეყნების შიდა მდგომარეობაც. დაღესტანი ამ პერიოდში სახელმწიფოებრივ წარმონაქმნად ჩამოყალიბდა. საქართველო კი XI-XIII სს-ში ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო ხდება და აღწევს უდიდეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ აღმავლობას. ქვეყანა ხდება კავკასიის რეგიონის წამყვანი სახელმწიფო და მნიშვნელოვან როლს ასრულებს მეზობელი ქვეყნების, განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ქართველი მეფის მმართველობის დროს არა მარტო წმინდა ქართული სამთავროები გაერთიანდა, არამედ რიგ შემთხვევებში კავკასიის სხვა მიწებიც.

საქართველოს პოლიტიკურმა გავლენამ განაპირობა რეგიონებს შორის ეკონომიკური და კულტურული კავშირების განმტკიცება. აღორძინდა სავაჭრო ურთიერთობები: დაღესტანში აღმოჩენილ XII-XIII საუკუნეების მონეტებს შორის დიდი რაოდენობით ფიქსირდება სწორედ ქართული არტეფაქტები. ამავდროულად ამიერკავკასიის ქალაქებში გავრცელებული იყო დერბენტში მოჭრილი მონეტები (მაჰომედოვი, 1961; ჰასანოვი 1991: 12).

პოლიტიკურ გავლენას და ეკონომიკურ კავშირებს ავსებდა და აძლიერებდა იდეოლოგიური სეგმენტი. ქართველი მმართველები თავიანთ საქმიანობაში დიდ ყურადღებას აქცევდნენ რელიგიურ ფაქტორს.

დაღესტანში ქრისტიანობის გავრცელების პირველი ცდები ჯერ კიდევ მე-7 საუკუნეში ჩნდება, მაგრამ ის სახელმწიფო რელიგიად გაცილებით გვიან იქნა შემოღებული; ასეთად

მიჩნეულია 930-იანი წლები. აქედან მოყოლებული, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის გავლენამ ავარიის საეკლესიო ცხოვრებაში გაბატონება დაიწყო, როგორც მეზობელ ალბანელთა სამეფოში. ლოგიკურია, რომ ქართველი მისიონერების საქმიანობას თან ახლდა არამხოლოდ ქრისტიანული ქადაგებები ადგილობრივ მოსახლეობაში (რაც ადგილობრივთა ენის ცოდნას მოითხოვდა), არამედ აუცილებელი და ბუნებრივი ხდებოდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის ქართულ გრაფიკაზე მშობლიური წერილობითი ენის (დამწერლობის) შექმნის სურვილიც (მაჰომედოვი, 1961; ჰასანოვი, 1991).

დაღესტნის რაიონებში ხდება ქრისტიანული აღმშენებლობის ახალი მცდელობები, მძაფრდება მისიონერული მოღვაწეობა, შენდება ქრისტიანული კულტურის ძეგლები. XI-XII სს. ქრისტიანული ტაძრები იყო ანწუხში, თენუხში... ქრისტიანობის გავრცელება ფუნდამენტური ღირებულებისა ჩანს დაღესტნურ-ქართულ ურთიერთობებში. ფაქტია, რომ დაღესტანში ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლების არსებობაზე ნათლად მიუთითებენ სწორედ ქრისტიანული სამარხები, რომლებიც აღმოაჩინეს დაღესტნური სოფლების ურადას, ტიდიბის, ხუნზახის, გალას, ტინდის, კვანდას, რუგუჯას მახლობლად. ქრისტიანობის შეღწევასთან ერთად, ამ რელიგიის შეთქმულებები და გამოსახულებები აისახა მხატვრულ ხელნაკეთობებში. ზემო ჩირიურტის სამარხში (ახ. წ. VII ს.) აღმოჩენილია ბრინჯაოს გულსაკიდი (მედალიონი) ქალის გამოსახულების სახით, რომელსაც ხელში ბავშვი უჭირავს - ქრისტიანი ღვთისმშობელი. სოფელზე მოჩირიურტის მახლობლად (VIII ს.) სასაფლაოებზე ნაპოვნია ოქროს გულმკერდის ჯვრები, რომლებიც დამზადებულია დიდი ოსტატობით, გრანულირებითა და ძვირფასი ქვებით ჩასმული მაღალი ტექნიკით, ხოლო ქრისტეს ჯვარცმა გამოსახულია ჯვარზე არკასის რეგიონიდან. ორიგინალური ჩანს ვერცხლის ჯვარი მე-11-მე-12 საუკუნეების კუდალას სამარხიდან.

ქრისტიანული მოტივები კიდევ უფრო ფართოდ და გამოხატულად არის წარმოდგენილი ქვის ჭრის ხელოვნებაში. დაღესტანში იპოვეს სხვადასხვა ფორმისა და ზომის ქვისჯვრები, ზომებით მინიატურებიდან მონუმენტურამდე და სხვადასხვა საგნები რელიგიური გამოსახულებით. არქიტექტურულ ნაგებობებში ჩასმული ქვის ბლოკებზე - პეტროგლიფებზე მრავალი სცენაა ასახული. ხუნზახის, ღუნბის, შამილის და ჩაროდინსკის რაიონებიდან ქვის მრავალჯვარს უძველესი ქართული წარწერები ამშვენებს. ასეთი წარწერაა სოფელში საცხოვრებელი კორპუსის კედელში ჩადგმულ ქვაზე. რუგუჯა. ნაპოვნია ქართულ ანბანზე დაფუძნებული ორენოვანი წარწერები ძველ ქართულ და ხუნძურ ენებზე.

ქართველი მემკვიდრეების ისტორიებში არის ცნობა, რომ 1396 წელს, თემურ ლენგის მოსვლამდე, ლეზგები ქრისტიანები იყვნენ, დამპყრობელმა აქ იძულებით დაიწყო ისლამის დანერგვა; არაბთა მოლა, რომელიც აქ დაინიშნა, ვალდებული იყო ლეზგთა ბავშვებისთვის არაბულ ენებზე ესწავლებინა წერა-კითხვა; მანვე გასცა მკაცრი ბრძანება, რომ არავინ ისწავლოს წერა-კითხვა ქართულ ენაზე.

ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მთიანი დაღესტნის (ცენტრალური) ზოგიერთ სოფელში იყო სკოლები, სადაც ქართველი მისიონერები ქართულ წერა-კითხვას ასწავლიდნენ ბავშვებს. შესაძლოა, ამ ორენოვან წარწერებში უფრო დეტალური საუბარი იყო ქართული დამწერლობის ნიადაგზე დაღესტნური (ხუნძური) დამწერლობის შექმნის მცდელობაზეც.

აკაროს მთაზე, სოფელ ხუნზახთან დაღესტნურ-ქართული არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ XX საუკუნის 80-იან წლებში აღმოჩენილი იქნა X-XIV საუკუნეების დიდი (17 მ x 7,5 მ) ქრისტიანული ეკლესიის ნაშთები. აქვე იყო სამლოცველო, ქვის ჯვრების ნაშთები, რომელთა უმეტესობას წარწერების კვალი ეტყობა ძველი ქართული დამწერლობით.

დაღესტნის ტერიტორიაზე ქრისტიანული კულტურის ყველაზე თვალსაჩინო ძეგლი და კარგად შემონახული ტაძარი ფიქსირდება შამილის რაიონის სოფელ დათუნასთან. სამეცნიერო ლიტერატურაში ბევრი რამ არის მასზედ ცნობილი, ამიტომაც ითვლება, რომ

დათუნას ეკლესია კარგად არის აღწერილი. ტაძარი მდებარეობს "ჰატანბუგებკკალ" ("ხევი, სადაც ეკლესია მდებარეობს") კანიონში, სოფლის კლდოვან გარეუბანზე, რომელსაც სამი მხრიდან მდინარე რეცხავს და ჩაედინება ავარაყოისუში. ეკლესიის ნაგებობა მცირე ზომისაა, მკაცრად დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ წაგრძელებული. მისი გარეგანი ზომები ძირშია რის 9,10 x 5,70 მსიმაღლით 8 მ-მდე. დათუნა ბაზილიკური ტიპის ეკლესიაა, სამი ნაწილად იყოფა შემოღობილი თაღებით, ერთ რაფაზე შემოსასვლელით. ტაძარი გადახურულია კამარით, რომლის ცენტრში ნათლად ჩანს ოდნავ ამოზრცული ჯვარი. სახურავი მოპირკეთებულია კრამიტით, კედლები შესრულებულია ყვითელი ქვიშაქვისა და კირის ხსნარით კარგად დამუშავებული ბლოკებით. ტაძრის მოპირდაპირედ, მისგან სამხრეთით 50 მეტრში, ასევე შემორჩენილია IX-XII საუკუნეებით დათარიღებული შუასაუკუნეების ნამოსახლარის ნანგრევები.

დაღესტანში ხშირად ყოფილი ქრისტიანული თავყვანისცემის ადგილები შემდგომში მუსულმანურ მეჩეთებად ან სულაც საცხოვრებელ სახლად გამოიყენებოდა. ამას ადასტურებს არქეოლოგიური მასალა და წერილობითი წყაროები. ძველი ქრისტიანული ტაძრები და მონასტრები, რომელთაგან ზოგი თლილი ქვით არის ნაგები და ნანგრევებშია, ზოგი კი მეჩეთად არის ქცეული. ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ღუნბის რაიონის სოფელ რუგუჯაში, სადაც აღმოჩნდა ჯვრები და ქვაზე წარწერები ძველ ქართულ ენაზე (ქრისტიანულ სამარხში) აღმართული იყო დიდი ერთსართულიანი კერძო სახლი -ოთახი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა უწოდებდა "კალა-როყ" (სასახლე), ან "ჰალან-როყ" (ეკლესია).

ხუნძეთში (ავარაში) ქრისტიანობის არსებობის ძლიერი კვალის უტყუარი საბუთი შეიძლება იყოს ისტორიული ფოლკლორის მონაცემები. მაგალითად, ანდალალისა და ყარახის თემებს შორის მდებარე სოფლების ბაწადა, ყულლაბი, შულანი, უნთი (მას ასევე ეძახდნენ „ქვემო ყარახს“) ადრე ეწოდებოდა „გურჯიხლი“, რაც „ქართველობას“ ნიშნავს და აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ აქ ადგილობრივმა მოსახლეობამ, დაახლოებით IX საუკუნემდე აღიარა „ხანჩილ დინ“ = „ჯვარის რწმენა“, ანუ ქრისტიანობა (ტახნაევა, 2004: 125.).

დაღესტნელი მშენებლები, განსაკუთრებით არქიტექტურული დეკორის ოსტატები, ინარჩუნებდნენ პროფესიულ კავშირებს საქართველოს მშენებლებთან. ალბათ ეს არის ნამდვილი მიზეზი იმისა, რომ თაბასარანში განსაკუთრებით განვითარდა ქრისტიანული ხუროთმოძღვრებისთვის დამახასიათებელი ლენტის ორნამენტი.

დასახელებულ ადგილებში დღემდე შემორჩენილი ლეგენდა ამბობს, რომ ამ სოფლებში ქართველების მრავალი შთამომავალი ყოფილა ჩამოსახლებული და მშვიდობიანად ცხოვრობდა ადგილობრივთა შორის. გადმოცემების, თქმულებებისა და ლეგენდების ავთენტურობას ადასტურებს დაღესტნური სოფლების ტერიტორიაზე ძველ სასაფლაოებში ჯვრებისა და ქრისტიანული სამარხების დიდი რაოდენობით არსებობა. სოფლების - ბაწადა, ყულლაბი, შულანი, უნთი - მოპირდაპირედ, მთის მაღალი ქედის უღელტეხილ სესდაზე არის სამარხი „თამარის საფლავი“. ლეგენდის თანახმად, თამარი სადაც შორიდან მოვიდა ჯერ კიდევ არაბების გამოჩენამდე, ის იყო ნათელმხილველი, ესმოდა ცხოველებისა და ფრინველების ენები, ხალხს მოუწოდებდა, ერწმუნათ ერთი ღმერთი და არ დაეზიანებინათ სხვა ადამიანი. ამჟამად თამარის საფლავი იქცა მიმდებარე სოფლების მოსახლეობის მომლოცველობის ადგილად (ზიარათი), სადაც ისინი დღემდე გვალვის პერიოდში წვიმის სათხოვნელად ამოდიან.

დაღესტნის ქართული ეპიგრაფიკის პროფესიული შესწავლა მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო. უკვე მეოცე საუკუნის შუა ხანებში მკვლევარები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ხუნძური ენის წერილობითი ფიქსაციის პირველი გამოცდილება დაკავშირებულია აღმოსავლეთ კავკასიაში ქრისტიანობისა და ქართული მწერლობის გავრცელებასთან. 1940 წელს გამოჩენილმა ენათმეცნიერმა არნ. ჩიქობავამ გამოაქვეყნა სტატია „ქართულ-ხუნძური წარწერები დაღესტნიდან“, რომელშიც ავტორმა გაშიფრა წარწერა ქვის ჯვარზე და ბუნებრივია, მისცა შესაბამისი შეფასებაც: ენობრივად, წარწერა ღირებულია, როგორც

უძველესი (ჯერჯერობით) დოკუმენტი ხუნძური ენის ისტორიაში და საერთოდ დადესტნური ენების ისტორიაში. ეს უძველესი წარწერა ამოკვეთილია ქართული დამწერლობით; და ეს არის მისი უდავო კულტურული და ისტორიული მნიშვნელობა (ჩიქობავა, 1940). 1948 წელს ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე მ. ს. საიდოვი შეეხო ძეგლის დათარიღებისა და წარსულში ქართულ ანბანზე დამყარებული ავარიული დამწერლობის არსებობის პრობლემურ საკითხებს. ხოლო 1954 წელს პროფ. ტოგო გუდავამ ქვის ჯვარზე შესრულებული კიდევ ერთი ქართულ-ავარიული წარწერა გამოაქვეყნა და აჩვენა ამ წარწერების მნიშვნელობა და ქართული წარმომავლობა (გუდავა, 1954). 2017 წლის ზაფხულში სოფელ ურადას ქვემო ნაწილში მდებარე ჯუმა-მეჩეთის პირველი სართულის კედელზე ჩადგმულ ქვაზე აღმოჩნდა ქართული წარწერა, რომელიც, სავარაუდოდ, ორი სიტყვისა და შვიდი ასოსგან შედგება. იმავე წლის შემოდგომაზე, სოფელ ხუჭადაში, მ. შეხმაგომედოვმა და შ. ხაპიზოვმა აღმოაჩინეს 40x23 სმ ზომის ქვა, რომელზეც გამოსახული იყო ქართული წარწერა. წარწერიანი ქვა აღმოჩნდა კომპთან ნანგრევებში, რომელიც, ზეპირი გადმოცემით, ეკუთვნოდა ჰაჯი-ალის (მოკლული 1509 წელს) ადგილობრივი მმართველის ნუცალ ბულაჩის ძმას (ხაპიზოვი, 2021).

დაბოლოს, 2018 წელს ხუნზახის რაიონში მოქალაქე მ. მაგომედოვის კერძო კოლექციაში ისტორიკოსმა შახბან ხაპიზოვმა იპოვა ქვის ჯვრის ფრაგმენტი (16 x 17,5 სმ) ქართული წარწერით. თავის დროზე, ქვა ხუნზახის რაიონის სოფელ ურკაჩის განაპირას მდებარე ბორცვის ქვეშ მიწის სამუშაოების დროს აღმოაჩინეს. საყურადღებოა, რომ ამ შემთხვევაში წარწერა ავარულ (ხუნძურ) ენაზეა შესრულებული (ქართული) ასმთავრულით დამწერლობით და დათარიღებულია აღმომჩენის მიერ XI საუკუნით, ამავე პერიოდის პალეოგრაფიულ მონაცემებთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე. სამწუხაროდ, წარწერა შემორჩენილია ჯვრის მხოლოდ ერთ ფრთაზე, სადაც იკითხება ტექსტის სამი სტრიქონი, რომელიც შედგება სათაურის ქვეშ შემორჩენილი 12 გრაფემისაგან (ხაპიზოვი, 2021).

ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები ჩეჩნეთში

ქართულ-ჩრდილოკავკასიური ურთიერთობების ეპიცენტრი საქართველოს ჩრდილოეთ კარიბჭესთან, დარიალთან არის ასოცირებული. დარიალ-ი და დარიალ-ან-ი ერთმანეთისაგან უნდა გაირჩეს, როგორც ორი სხვადასხვა ონომასტიკური სახელი, რომელიც -იალ სუფიქსით გაფორმებულ საერთოქართველურ დარ- ძირს შეიცავს, შდრ. დევ-დარ-აკ-ი იმავე რეგიონში. უბრალოდ, დარიალ-სა და დარიალ-ან-ს შორის ისეთივე მიმართებაა, როგორც კობ-ი - კობ-ან-ში გვაქვს (-ან ტოპოსუფიქსიანი წარმოება), ანუ დარიალ-ი ადგილის სახელია, ხოლო დარიალ-ან-ი - ხეობისა. ეთნონიმურ ალან-თან თანხვედნა სრულიად შემთხვევით ხასიათს ატარებს. ამიტომაც ბუნებრივად გვეჩვენება ის ისტორიული რეალობა, როცა სწორედ აქ ჩნდება ნახურ-დადესტნური მოდგმის ხალხებსა და ქართველებს შორის ურთიერთობებში წყალგამყოფი ისტორიული ლომეკის მდინარის (იგივე თერგის) სახით: „და მისცა ლეკანს ზღვთგან დარუბანდისათ ვიდრე მდინარემდე ლომეკისა, ჩრდილოთ ვიდრე მდინარემდე დიდად ხაზარეთისად. და მისცა კავკასის ლომეკის მდინარითგან ვიდრე დასასრულადმდე კავკასისა, დასავალით“ (ყაუხჩიშვილი, 1955: 98). ჩვენი ხალხების კულტურულ-პოლიტიკური თანაარსებობის ისტორიულ პერიოდში რელიგიურ საფუძველზე წარმოიშობა ახალი ტიპის ურთიერთობა, რაც გარკვეულწილად ფარავს ქართულსა და ქრისტიანობას კავკასიაში. ამიტომაცაა, რომ ქართულ სინამდვილეში როგორც დურძუკ-ძურძუკი, ისე ქისტი (მოხეურში ქიშტი) აღნიშნავს ჩეჩენსაც და ინგუშსაც. ამათგან დურძუკ-ძურძუკი წინარე ქრისტიანული პერიოდის ტერმინი უნდა იყოს, რომელსაც ქრისტიანულ ხანაში ანაცვლებს ქისტი-/ქიშტი. ამდენად, დურძუკი გამოდის ქართული სახელწოდება ვაინახური მოდგმის ერების (ინგუშებისა და ჩეჩენების) აღსანიშნავად, რასაც ქრისტიანობის აქტუალურ პერიოდში ჩაანაცვლებს ეთნონიმი ქისტი. მოგვიანებით ქისტი გადმოდის/ლოკალიზდება მხოლოდ პანკისის ხეობაში და მისი მნიშვნელობა ვიწროვდება. როგორც გაირკვა, სახელწოდება

ქისტი პირველად VII საუკუნის „სომხურ გეოგრაფიაში“ მოხსენიებული, იგივე ტერმინი ფიქსირდება XIII საუკუნის ქართულ წყაროშიც (თოფჩიშვილი, 2012 : 94). ეთნონიმ ქისტის წარმოშობასთან დაკავშირებით კავკასიოლოგიურ ისტორიოგრაფიაში რამდენადმე ურთიერთგანსხვავებული ინტერპრეტაცია ჩნდება. ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით, ქისტი უნდა მომდინარეობდეს ტოპონიმ ქეის-გან, რომელიც მდებარეობს თანამედროვე ჩეჩნეთში, მდინარე მეშიხის მარცხენა ნაპირზე. ა. ჭინჭარაულის თვალსაზრისით, ქისტი მომდინარეობს ქრისტ-ისაგან და დაკავშირებულია ქრისტიანობის გავრცელების ისტორიულ პროცესთან ვაინახებში (ჭინჭარაული, 2005). მოცემულ სიტუაციაში არგუმენტის ძალას იძენს ის ფაქტი, რომ ქისტი ქართული სახელწოდებაა ვაინახური მოდგმის ორივე (ინგუში და ჩეჩენი) ხალხის ყველა სუბეთნიკური ჯგუფის აღსანიშნავად, რასაც შესაძლოა ქრისტიანული საფუძველი ჰქონოდა, ვინაიდან გაქრისტიანებულთა გამოსარჩევად ქისტის (=ქრისტიანი) ხმარება, სხვა რომ არაფერი, ადეკვატურად ასახავდა ახლადშექმნილ რეალობას ვაინახებში; სულ მცირე ქრისტი -> / ქისტი თანხვედნა ენობრივ დონეზე მხარს დაუჭერდა ეთნონიმ ქისტის დამკვიდრებას უძველესი დურძუკის სანაცვლოდ.

ქართულ-ჩეჩნური ისტორიული ურთიერთობები სათავეს უხსოვარი დროიდან იღებს და დღემდე გრძელდება. ქართულ-ჩეჩნური საერთო არტეფაქტები ჩვენს წინაპრებზე, ჩვენს საერთო ისტორიაზე მიუთითებენ ჭებერლოში გვხვდება XVIII საუკუნის ბოლო პერიოდით დათარიღებული 6 წარწერა ასომთავრულისა და ხუცურის გარდა მხედრული წარწერებიცაა წარმოდგენილი. წარწერები მიუთითებენ, რომ დიდი ხნის განმავლობაში გამოიყენებოდა ქართული დამწერლობა და ჭებერლოის, ჭანთის, ნაშხის (არღუნის ხეობა), ზუმსოას, ტერლოას, მულყოას ტერიტორიაზე ქართული კულტურის გავლენა იყო.

ძირითადი ნაწილი მაინც გვხვდება წომ-ფჰედეს ძეგლზე, სადაც ერთი წარწერა ქვის ბლოკზე, ხოლო 6 - ჭურჭელზე აღმოჩნდა აქედან 1 კერამიკული და 5 ხის ჭურჭელია. საბჭოთა დროს, ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ცნობილი იყო მხოლოდ 2 ასომთავრული წარწერის შესახებ, რომლებიც, რეზიდა დაუთოვას მიერ 1975 და 1978 წლებში წარმოებული გათხრებისას წომ-ფჰედეში აღმოჩენილ ხის ჯამსა და წითელი კერამიკისაგან დამზადებულ ჭიქაზე აღმოჩნდა. დანარჩენი წარწერები, ჩვენი კოლეგის - სულთან ისაევის თქმით, ბოლო 2-3 წლის განმავლობაში იქნა აღმოჩენილი. მომავალ წელს ნეკროპოლის რეკონსტრუქცია იგეგმება, ჩატარდება არქეოლოგიური გათხრები და ვარაუდობენ, წარწერების რაოდენობა საგრძნობლად გაიზრდება, რადგან იქ ბევრია ხის ჭურჭელი, რომელიც განთავსებულია სამარხებში არქეოლოგიური სამუშაოებისას საკმაოდ უნდა აღმოჩნდეს, რადგან ზედაპირული დათავლიერებისას სამარხების გარშემო მიმოფანტულ არტეფაქტებში უკვე ფიქსირდება 6-7 წარწერიანი ჭურჭელი. შესაბამისად, შიგნით უფრო მეტს ველოდებით.

1939 წელს წომ-ფჰედეში ლენინგრადელმა არქეოლოგმა მაჩინსკიმ ქართული ქრისტიანული ტაძრის ნანგრევები და ბრინჯაოს ზარიც დააფიქსირა. საინტერესოა, რომ მან მელხისტას მეზობელ სოფელ მეშიშიც დააფიქსირა ქრისტიანული სალოცავი. მიგვაჩნია, რომ ქართულ-ჩეჩნურ ურთიერთობებს ქრისტიანობამდელი ფესვები გააჩნია. დასაწყისი წინარე ქრისტიანულია შუა საუკუნეების საქართველოს მთიანეთი და ჩეჩნეთი, შესაძლოა ითქვას, რომ ერთ კულტურულ არეალს წარმადგენს არქიტექტურისა და სხვა ნიშნების მიხედვით. ის ძეგლები, რომელიც საკუთრივ ქრისტიანობას განეკუთვნება, ამ დროისათვის ერთეულებს ითვლის, ბევრი ძეგლი, პრაქტიკულად, არ არის შენარჩუნებული; მაგალითად, ქვის ბლოკი სოფელ ბავლოდთან აღმოჩენილი იქნა მეჩეთის რესტავრაციისას, ნანგრევების გაწმენდისას. ჩანს, შენობა ქრისტიანული ტაძარი ან სხვა ნაგებობა იყო, რომელიც მოგვიანებით მეჩეთად გადაკეთდა. ეს არის ქართულენოვანი ტექსტი, რელიგიური დანიშნულების, შესრულებული ასომთავრულით, და ის მოგვიანებით განთავსებული იქნა მეჩეთში. თვითონ მეჩეთი დაანგრეს დეპორტაციის პერიოდში. რამდენიმე წლის წინ ბავლოდში გზის გაყვანის შემდეგ დაიწყეს მეჩეთის აღდგენა, რა დროსაც ნაპოვნი იქნა აღნიშნული ქვა. ის ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა და აქტივისტებმა შენიშნეს მეჩეთის აღდგენითი სამუშაოებისას. წარწერა ზუმსოადთან და ეს წომ-ფჰედედან,

ერთი ლეჩა ილიასოვის მიერ იქნა გამოქვეყნებული, ხოლო მეორე, ილიასოვის გარდა, მარკოვინამაც გამოაქვეყნა. მათ პეტროგლიფებად მოახდინეს ამ წარწერის ინტერპრეტაცია მხოლოდ ახლა, ქართველ სპეციალისტებთან მჭიდრო თანამშრომლობის შემდეგ, დადგინდა, რომ ეს წარწერები ასომთავრულით არის შესრულებული. წარწერის ერთ-ერთი წაკითხვა ასეთია: „ას ყა ცა ლათი“ (ჩეჩნურად) მე არ შემიცოდავს. არსებობს ლეგენდა, რომლის მიხედვითაც ძველ დროში ერთი ადამიანი დაადანაშაულეს ძმის მკვლელობაში, სავარაუდოდ, წარწერა მან გააკეთა, რომ მას არ შეუცოდავს და ძმის სისხლი არ იყო მასზე შესაძლოა, ეს ლეგენდა დაკავშირებული იყოს წარწერასთან.

ჩეჩნური ენის კვლევაც აჩვენებს, რომ მან შეინარჩუნა ჩვენი ისტორიული ურთიერთობების კვალი. ქრისტიანობის მანიშნებელია სხვადასხვა ტერმინები, დღემდე შემორჩენილი ჩეჩნურ ენაში. მათი ნაწილი ქართული წარმოშობისაა. ქართული სიტყვებია, მაგალითად, მოძღვარი - მოზღარ (ჩეჩნ.) მარხვის აღმნიშვნელი სიტყვა მარხ (ჩეჩნ.), ისევე, როგორც ინგუშურში. ქართული ლოცვა, რომელსაც ჩეჩნურში განსხვავებული მნიშვნელობა აქვს - ლოცვა (ჩეჩნ.) მილოცვა, არ შეიძლება ითქვას, რომ ნასესხებია. ეს საერთო სიტყვებია, რომლებმაც ქართულში შეიძინეს საკულტო მნიშვნელობა, ისევე, როგორც, რიგ შემთხვევებში, ჩეჩნურ და ინგუშურ ენებში. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ურთიერთკავშირი ვითარდებოდა და ჩეჩნური ქრისტიანობა წარმოადგენს ქართული ქრისტიანობის გაგრძელებას, მაგრამ სიტყვები და ტერმინოლოგია ხშირ შემთხვევებში ძირძველი ჩეჩნური, ძირძველი ნახურენოვანია, რადგან ეს საერთო ქრისტიანული პროდუქტია და ძირძველი ჩეჩნური და ქართულ-ქართველურია, რაც მეტყველებს საერთო პროტოკულტურაზე.

კომპების კონსტრუქცია, ძეგლები, სასაფლაოები და მეჩეთები მეტწილად უკეთ შენარჩუნდა იმ რაიონებში, რომლებიც საქართველოს გადაეცა, ქართველებით დასახლდა. მელხისტაში აკლდამის ე.წ. დასაკრძალ კამერაში, საცხოვრებელ კომპში და საბრძოლო კომპში - სამ ძეგლში წარმოებული რადიონახშირბადული კვლევისას აღმოჩენილიქნა ხის კონსტრუქციები, კოჭები, რომლებიც 1956-1957 წლებით დათარიღდა. ამას ერთადერთი ახსნა აქვს: ძეგლების რესტავრირება და ხის კონსტრუქციის აღდგენა აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართული მოსახლეობის მიერ ხორციელდებოდა.

ჩეჩნურ ენაში სიტყვა ჯღარა „ჯვარი“ მოიპოვება. გვხვდება ჯვარიც თავისთავად და უღელტეხილის მნიშვნელობითაც. ჯვარისმაგვარი სტელა იყო შათოში, რომელიც, სამწუხაროდ, დანგრეულია. ჩახქარეშიც მოიხსენიება ქართული ტიპის ჯვარი. აღნიშნულ ჯვარს უკავშირდება სიმაგრე ვოზდვიჟენსკოეს სახელწოდება - აღმართული ჯვარი. ხშირია ჯვარისმაგვარი ქვის სტელების მეორადად გამოყენების შემთხვევები მუსლიმურ სასაფლაოებზე. კომპებზეც ბევრი ჯვარისმაგვარი ნიშანია გამოსახული. ეს, შესაძლოა, ქრისტიანობის გავრცელებამდე პერიოდს მოიცავდეს, რადგან მსგავსი ჯვრები ყოზანურ ორნამენტებშიც გვხვდება. ტერლოიში, მეჩეთის შესასვლელის თაღის ცენტრალურ ქვაზე გამოსახული იყო ჯვარი, რომელიც დააზიანეს, მაგრამ 1971 წელს გადაღებულ ფოტოზე იგი დაფიქსირებულია. სოფელ კაკადოიშიც უნდა ყოფილიყო ჯვარი. ბოლშინს, რომელიც 1923 წელს აღნიშნულ ადგილას მუშაოდა, თავის დღიურში აქვს ჩანაწერი იმის შესახებ, რომ ადგილობრივებმა მას აჩვენეს სასაფლაო, რომელსაც ქართულ სასაფლაოდ მოიხსენიებდნენ.

ასეთივე ნიშანი - ჯვარი გამოსახული იყო სოფელ ტერხის ერთ-ერთ სამარხზეც.

სოფელ კარატაში მდებარეობს კომპისმაგვარი სამარხი, რომელსაც ძეით-ქაშს უწოდებენ. ადგილობრივი მელხის თეიფის წარმომადგენლები ამბობენ, რომ იქ მათი 26-ე ან 29-ე წინაპარის კარგად შენახული მუშია იყო დასვენებული, რომელსაც შენარჩუნებული ჰქონდა თეთრი წვერი და ტანისამოსი. ჩვენამდე მოაღწია გადმოცემამ, რომლის მიხედვითაც გვალვის დროს ხდებოდა ძეიტას გამოსვენება და მთაზე გადატანა ხარშავდნენ სპეციალურ სარიტუალო ფაფას. აღნიშნულ რიტუალზე დასასწრებად ხევსურეთიდან, თუშეთიდან, ფშავიდან, მეზობელი მთიანეთიდან იკრიბებოდნენ და უფალს შესთხოვდნენ წვიმის მოსვლას. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ მუშია ვეღარ იპოვეს. ჩანს, სამარხი საერთო სიწმინდეს წარმოადგენდა, რადგან ძეიტას შესახებ არის ჩანაწერი საქართველოს

საკატორიარქოს არქივში, რომ მისი გარდაცვალებისას შესრულდა ლოცვა. მეითას შესახებ ისტორია არის ახალი ფაქტოლოგია, რომელშიც იკვეთება ფაქტობრივი მდგომარეობა, რომ ჩეჩნეთში დღემდე შემორჩენილია გადმოცემები, რომლებიც დოკუმენტირებულია ქართული წყაროებით. ჩეჩნეთს გააჩნდა, ქრისტიანობის საკუთარი ისტორია და წარმოადგენდა ძალიან ძველ ქრისტიანობას კავკასიაში. ვფიქრობთ, რომ ეს არის ჩვენი წელთაღრიცხვით VII, VIII, IX საუკუნეების ან კიდევ უფრო ადრინდელი პერიოდის ისტორია.

ბევრი რამ ჯერ კიდევ არ თქმულა ჩეჩნური მიწისზედა არტეფაქტების თაობაზე. ჩვენ არც გავიკვირდებთ, თუ ჩეჩნეთის მთიანეთში ჩეჩნური თუ საერთო ქართულ-ჩეჩნური კულტურის ახალი სალოცავები აღმოჩნდება. ერთი პროექტის ფარგლებში ყველაფრის დაფიქსირება შეუძლებელია.

ქართულ-ოსური ეთნოკულტურული ურთიერთობები

ოსების ირანულენოვან წინაპრებს, ალანებს, ქართველები კავკასიაში მათი გამოჩენის პერიოდიდან, ანუ პირველი საუკუნიდან იცნობდნენ და საკმაოდ ინტენსიური ურთიერთობებიც ჰქონდათ, ხან მეგობრული, ხანაც მტრული. თავდაპირველად ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინეთში მძლავრად დამკვიდრებული ალანების ნაწილი XIII საუკუნეში, თათარ-მონღოლთა შემოსევის შემდეგ, მთებში ბინადრდება, ხოლო XIV საუკუნეში თემურ-ლენგისგან დაძლეულ-დაწიოკებულნი საბოლოოდ მთებში მკვიდრდებიან და ადგილობრივ კავკასიურ ტომებთან შერევის შედეგად სათავეს უდებენ ოსური ეთნოსის ჩამოყალიბებას. XV საუკუნის დასასრულს ალან-ოსები იწყებენ კავკასიის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარე ისტორიული ქართული პროვინციის - დვალეთის - ძალადობით დათავისებას, რაც XVII საუკუნეში დვალეების საბოლოო განადგურებითა და ასიმილაციით დასრულდა; XVII-XIX საუკუნეებში კი ოსები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისა და ბარის თითქმის ყველა კუთხეში სახლდებიან.

ოსები ერთადერთი ხალხია კავკასიაში, რომელსაც ერთიანი სახელწოდება XX საუკუნემდე არ გააჩნდა; აღმოსავლეთ ოსეთში მცხოვრებთა ენდოეთნონიმი „ირონი“ იყო, ხოლო დასავლეთის (დიგორის ხეობის) მკვიდრთა - „დიგორონი“. ერთიანი ეგზოეთნონიმი „ოსი“, რომლითაც მათ მეზობლები და სხვა ხალხები იცნობენ, ქართველების შერქმეულია. წარსულში დამწერლობის არმქონე ოსების ანბანი დღეისთვის კირილიცას საფუძველზეა შექმნილი, მაგრამ უფრო ადრე იგი ქართული გრაფიკით იყო შედგენილი.

ქართველი და ოსი ხალხების ხანგრძლივმა ურთიერთობამ ასახვა ჰპოვა მათი ეთნიკური ყოფისა და კულტურის თითქმის ყველა სფეროში, განსაკუთრებით, ფოლკლორსა, ხალხურ დღესასწაულებსა, რწმენა-წარმოდგენებსა, რელიგიურ კულტებსა და მითოლოგიაში. საქართველოში ჩამოსახლებული ოსების მატერიალურ კულტურაში (მხედველობაშია სამეურნეო საქმიანობის საკვანძო დარგები - მესაქონლეობა და მიწათმოქმედება, შინამრეწველობა და ხელოსნობა, ნაწილობრივ საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები და სამოსი) აშკარად შეიმჩნევა ქართული გავლენები.

ოსური ხალხური ზეპირსიტყვიერების ციკლი, ე.წ. დარემანთი ქადჯითა („დარეჯანული თქმულებები“), ქართული ხალხური ეპოსის - „ამირანიანის“ - ფრაგმენტული ვარიანტია; თქმულებებში შეინიშნება შუა საუკუნეების ქართველი მწერლის, მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანისა“ და ქართველების მეშვეობით ოსეთში შეღწეული ირანული თქმულებების გავლენა (კალოევა, 1975: 18).

აღსანიშნავია ოსური თქმულებები „ცარციათებზე“ - ლეგენდარულ ხალხზე, რომელთა შესახებ ოსურმა ფოლკლორმა ძალზე მწირი და ბურუსით მოცული ცნობები შემოინახა. არსებობს თქმულების ჩანაწერის ორი ვარიანტი, რომელთაგან ერთის მიხედვით, ცარციათები შიმშილით დაიხოცნენ, მეორე ვარიანტით - ნართებთან (ანუ ოსებთან) ბრძოლაში. ჩრდილოეთ ოსეთის თითქმის ყველა ხეობაში გარკვეული ადგილები „ცარციათების საფლავების“ სახელითაა ცნობილი. ჯავის რაიონის სოფ. ედისში მცხოვრები ოსები ერთ-ერთ გორას „ცარციათთა ქალაქს“ უწოდებდნენ. აქ წარმოებული გათხრების

შედეგად გამოვლინდა ადრეული და გვიანი შუასაუკუნეების დასახლების ნაშთი, რომელიც მკვლევართა მიერ ქართულ წყაროებში ნახსენებ ისტორიული მადრანდვალეთის „ედის ქალაქთან“ არის გაიგივებული. გამოთქმულია მოსაზრება, რომ აქ იყო სავაჭრო სახელოსნო ცენტრი. საინტერესოა, რომ სიტყვა ცარციათას ძირი „ცარცი“ ქართული „ჩარჩი“ (ქორვაჭარი) ტერმინიდან მომდინარეობს. ამდენად, თქმულებაში ასახულია ოსთა ბრძოლა დვალელებთან და ამ უკანასკნელთა განადგურება (ანთელავა, 2017: 740-741).

ქართული გავლენები შეინიშნება რიგ კალენდარულ დღესასწაულებში: მაგალითად, ოსური ხალხური საგაზაფხულო ციკლის დღეობაა ქასუთა. სადღესასწაულად ახალგათხოვილი, ჯერ კიდევ უშვილო ქალები მდინარისპირაში მიდიოდნენ, გაშლიდნენ სუფრას და ქასუთას ჯამრთელ შვილებს შეთხოვდნენ. გარკვეულია, რომ ოსური ქასუთა მომდინარეობს ქართული „ქვასვეტი“ (<ქვამვეთი, ქაშვეთი) სიტყვიდან, ისევე როგორც ოსური ჯეორგუბა გართული გიორგობის ოსური ტრანსკრიფციაა (ჩიბიროვი, 1976: 22-29). აღსანიშნავია დღესასწაული „ათინაგი“, რომელიც ქართველი მთიელების ათენგენობას უკავშირდება; აგრეთვე, ოსური ალარდი - ინფექციურ (ყვავილბატონები, წითელაბატონები) და თვალის დაავადებათა მფარველი ძალა ოსურ მითოლოგიაში, რომლის სახელობის დღეობას მასისის ბოლოსა და ივნისის დასაწყისში იხდიდნენ. სპეციალისტები მიუთითებენ, რომ ღვთაების სახელის დიგორული ფორმა „ალაურდი“ და ირონული ფორმა „ალარდი“ (< ქართული „ალავერდი“) დაკავშირებულია იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრის ახელწოდებასთან. ამასთან, უნდა ითქვას, რომ ქრისტიანულ ტრადიციაში იოანე ნათლისმცემელი ცნობილია, როგორც მკურნალი. ორიოდ სიტყვა კულტებზე: ოსური ნაყოფიერების ღვთაება სანიბა უკავშირდება ქრისტიანული სამების აღმნიშვნელ „სამება“ ტერმინს (აბაევი, 1990: 125); ოსური მიქალგაბირთა ქართული მიქელგაბრიელის ადაპტაციაა, ისევე როგორც გარეული ცხოველებისა და მონადირეობის მფარველი ოსური ღვთაება აფსათი ამავე სახელწოდების სვანური ღვთაების იდენტურია და ნასესხებია სწორედ მათგან. აქვე უნდა ითქვას, რომ ოსური ძუარი - 1. ღვთაება, წმინდანი, სული; 2. ამა თუ იმ ღვთაების, წმინდანის, სულის სახელობის სალოცავი, რომელიც შეიძლება იყოს მთა, გამოქვაბული, ქვების გრ4ოვა, კორომი, ძველი ეკლესიებისა და სამლოცველოების ნანგრევები და სხვ.; 3. ამ ტერმინით აღინიშნება ქრისტიანული „ჯვარი“ და ინფექციური დაავადებები, ე. წ. „ბატონები“. ტერმინი მომდინარეობს ქართული სიტყვიდან „ჯვარი“ (ბესელოვა, 2006: 93). აღსანიშნავია, რომ ოსური უზენაესი ღმერთის სახელი „ხუიცაუ“ ქართულ „ხუცი“ სიტყვასთან არის დაკავშირებული.

დამოწმებული ლიტერატურა:

- ანთელავა ნ. (2012). აფხაზური მითები და რიტუალები, თბილისი
- ანთელავა ნ. (2017). კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები, თბილისი
- ანთელავა ნ. (2016). ჩერქეზული კულტურა, თბილისი
- ბახია-უქრუაშვილი ს. (2011). აფხაზთა ეთნოლოგია, თბილისი
- ბეჟიტაშვილი მ. (2010). ქრისტიანული ძეგლები ინგუშეთში (მათი შექმნის, შემდგომი აღდგენისა და შესწავლის ისტორია), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „დიდაჭარობა“ მასალები
- ბეჟიტაშვილი მ. (2012). ქრისტიანული ძეგლები ინგუშეთში: ქართულ-ინგუშური კონფესიური ურთიერთობები, ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი“, N5(17)
- გვანცელაძე თ. (1998). ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევისათვის, აფხაზეთის ისტორიის საკითხები, თბილისი
- ვინოგრადოვი ვ. (1982), XVIII საუკუნის საქართველო-ინგუშეთის ურთიერთობის ძეგლი, ძეგლის მეგობარი, №60
- Malia E., Akaba L. (1982). Clothing and housing of the Abkhazians, Tbilisi

- ქალდანი ა., ხუციშვილი ლ., ხუციშვილი გ. (1983). ალბი-ერდი – ქრისტიანული ეკლესია ინგუშეთში, საბჭოთა ხელოვნება, 1983, №7
- დამბაშიძე გ. (1998). „არსენა მ“-ის სამშენებლო კერამიკული წარწერა ტყობა-ერდას (ინგუშეთი) ქრისტიანული ტაძრიდან. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, №6
- ხუციშვილი ლ. (1983). გალ-ერდი - ქრისტიანობის დროინდელი ძეგლი ინგუშეთში //ძეგლის მეგობარი, №64
- Джавахишвили Н. (2014). История взаимоотношений грузинского и черкесского народов, Тбилиси
- Кагазежев Ж.В. (2019). Древние культуры Северного Кавказа: проблемы происхождения и этногенетических взаимосвязей // Известия Кабардино-Балкарского научного центра № 6 (92), Нальчик
- Миллер А.А. (1914). Черкесские постройки // Материалы по этнографии России. Т. 2. Петроград
- Мужухоев М.Б. (1980), Таргимский храм//СЕВЕРНЫЙ КАВКАЗ в древности и в средние века (сборник статей), Изд. «Наука», Москва
- Пафова М.Ф. (1992). Традиционная система питания адыгов (XIX-XX вв.). Автореф. дисс. канд. ист. наук
- Рисин М. (2012). Проблемы хронологии и периодизации древних культур Кавказа // Археологические вести. Вып. 18. СПб.
- Рисин М. (2012). Проблемы хронологии и периодизации майкопских памятников Северного Кавказа // Культуры степной Евразии и их взаимодействие с древними цивилизациями. Кн. 2. СПб.
- Студенецкая Е.Н. (1968). Одежда // Культура и быт народов Северного Кавказа, Москва
- Студенецкая Е.Н. (1989). Одежда народов Суверного Кавказа XVIII-XX вв., Москва

REFERENCES

- Antelava N. (2012). Abkhazian myths and rituals, Tbilisi (in Georgian)
- Antelava N. (2017). Myths and rituals of Caucasian peoples, Tbilisi (in Georgian)
- Antelava N. (2016). Circassian Culture, Tbilisi (in Georgian)
- Bakhia-Okruashvili S. (2011). Ethnology of Abkhazians, Tbilisi (in Georgian)
- Bezhitashvili M. (2010). Christian monuments in Ingushetia (the history of their creation, subsequent restoration and study), materials of the international scientific conference `Didacharoba` (in Georgian)
- Bezhitashvili M. (2012). Christian monuments in Ingushetia: Georgian-Ingush confessional relations, historical-cognitive journal `Istoriani`, N5(17) (in Georgian)
- Gambashidze G. (1998). Ceramic inscription of the construction of `Arsen M` from the Christian temple of Tkoba-Erdi (Ingushetia). Archaeological monuments of feudal Georgia, #6 (in Georgian)
- Gvantseladze T. (1998). Linguistic data and their significance for the study of the ethnic history of Abkhazia // Problems of the history of Abkhazia, Tbilisi (in Georgian)
- Javakhishvili N. (2014). History of interrelation between the Georgian and Circassian peoples. Tbilisi (in Russian)
- Kagazezhev Zh. (2019). Ancient cultures of the North Caucasus: problems of origin and ethnogenetical inter-contacts // Proceedings of the Kabardino-Balkarian Scientific Center No. 6 (92), Nalchik (in Russian)
- Kaldani A., Khutsishvili L., Khutsishvili G. (1983). Albi-Erd – Christian Church in Ingushetia, `Sabchota Khelovneba`, 1983, #7 (in Georgian)
- Khutsishvili L. (1983), Gal-Erdi - The monument from the time of Christianity in Ingushetia // Dzeglis Megobari, N64 (in Georgian)
- Malia E., Akaba L. (1982). Clothing and housing of the Abkhazians, Tbilisi
- Miller A. (1914). Circassian buildings // Materials on Russian ethnography. T. 2, Petrograd (in Russian)
- Muzhukhoviev M. (1980), Targim temple//North Caucasus in antiquity and in the Middle Ages (collection of articles), Ed. ` Nauka`, Moscow (in Russian)

- Pafova M. (1992). Traditional food system of the Circassians (XIX-XX centuries). Abstract of dissert. for cand. in hist. scien. (in Russian)
- Risin M. (2012). Problems of chronology and periodization of the ancient cultures of the Caucasus // Archaeological news. Issue. 18. St. Petersburg (in Russian)
- Risin M. (2012). Problems of chronology and periodization of the Maykop monuments of the North Caucasus // Cultures of steppe Eurasia and their interaction with ancient civilizations. Book. 2. St. Petersburg (in Russian)
- Studenetskaya E. (1968). Clothing // Culture and life of the peoples of the North Caucasus. Moscow (in Russian)
- Studenetskaya E. (1989) . Clothing of the peoples of the North Caucasus in the 18th-20th centuries. Moscow (in Russian)

მადლიერება: მადლობას ვუხდით შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, რომლის მხარდაჭერითაც განხორციელებული კვლევის შედეგების ერთ ნაწილს წარმოადგენს წინამდებარე სტატია (სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო პროექტი „ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები: ქართულ-ავხაზურ-კავკასიური პრაქტიკა“ (OTG-1-21-273)).